

შპს „პრიზმა ქონთრაქტენ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019
შემოსავალი	5	3 373 556.63
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(3 128 312)
მოგება		245255
სხვა შემოსავლები	5	24098.41
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(189316)
საოპერაციო მოგება/ზარალი		80037
არასაოპერაციო შემოსავალი	8	34488.13
არასაოპერაციო ხარჯი	8	(36368)
საპროცენტო ხარჯი	9	(19365)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		58793
მოგების გადასახადი	10	(0)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		58793

დირექტორი ----- გ. მუსერიძე

მთ. ბუღალტერი ----- ნ. ლობჯანიძე

შპს „პრიზმა ქონტრაქტენ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	2019	2018	2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	6 878	17 573	127 196
არამატერიალური აქტივები			-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 878	17 573	127 196
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	46 621	58 824	116 943
სავაჭრო მოთხოვნები	12	583 183	979 277	565 103
სხვა აქტივები		0	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		-	-	8 381
საგადასახადო აქტივი	13	6 679	-	11 772
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	67 479	1 026	1 022
სულ მიმდინარე აქტივები		703 962	1 039 128	703 222
სულ აქტივები		710 840	1 056 700	830 417
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი				-
გაუნაწილებელი მოგება	15	214 873	156 081	239 843
სულ კაპიტალი		214 873	156 081	239 843
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	323 702	648 777	374 165
მიღებული ავანსები			-	77 183
გადასახდელი ხელფასი	17	5 300	72 650	45 384
საგადასახადო ვალდებულება		1 333	22 702	69 307
სხვა ვალდებულებები		860	10 131	24 535
სესხები და პროცენტები	18	164 771	146 361	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		495 967	900 620	590 574
სულ ვალდებულებები		495 967	900 620	590 574
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		710 840	1 056 700	830 417

შპს „პრიზმა კონტრაქტენ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	2 019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	
მოგება დაბეგვრამდე	58 793
ცვეთა და ამორტიზაცია	10871,62
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში	12 204
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	396 093
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში	-
შემცირება/ზრდა საგადასახადო აქტივებში	(6 679)
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(325 075)
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში	-
შემცირება/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	(21 369)
შემცირება/ზრდა გადასახდელი ხელფასი და სხვა ვალდებულებები	(76 620)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	48 218
მოგების გადასახადი	-
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	48 218
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
შემცირება/ზრდა ძირითად საშუალებებში	(177)
შემცირება/ზრდა არამატერიალურ აქტივებში	
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(177)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
გადახდილი სესხი	18 411
გადახდილი დივიდენდი	
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	18 411
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	
წმინდა ფულის ზრდა	66 452
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	1 027
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	67 479

შპს „პრიზმა ქონსტრაქშენი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

„პრიზმა ქონსტრაქშენი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 17.10.2014 ს/ნ 405067252. კომპანიის იურიდიულიმისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის 26/3, ფაქტიური მისმართი ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი 17ა. კომპანიის დამფუძნებელი არის სანდრო მუსხერიძე 100% წილის მფლობელი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები მშენებლობა რემონტი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები სსაბჭოს მიერ გამოცემული მცირე დასაშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულადერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლისრეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოსმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯიარის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

15-25 პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი

20-25 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებს არ ფლობს კომპანია.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ

სარეალიზაციო ფასს შორის თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭროდა სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარ

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებულიამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

შენიშვნა 5. შემოსავალი

2019 წ.

შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	
შემოსავალი მომსახურებიდან	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3373567
სულ საოპერაციო შემოსავალი	24098
	3397665

შენიშვნა 6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019წ

სამშენებლო ხარჯები	3116125
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12186
სულ:	3128311

შენიშვნა 7. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2019წ
ხელფასის ხარჯი	155 822,00
ამორტიზაცია	10 872,00
კომუნალური ხარჯი	226
ბამკის საკომისიო	227
სხვა ხარჯები	5776
კომუნიკაციის ხარჯი	1146
კომპიუტერის ხარჯი	255
საკონსულტაციო ხარჯი	3030
საკანცელარიო ხარჯი	48
საიჯარო ქირა	7413
სხვა საერთო ხარჯები	227

დაზღვევის ხარჯი	
საპენსიო შენატანი	0
საქველმოქმედო დახმარება	3079
სულ	1195
	189316

შენიშვნა 8. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2019წ

არასაოპერაციო შემოსავალი	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	
სულ	34488
არასაოპერაციო ხარჯები	34488
ადმინისტრაციული ჯარიმები და საურავები	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	33817
სულ	2551
	36368
წმინდა არა საოპერაციო ხარჯი	1880

შენიშვნა 9. ფინანსური ხარჯი

	2019წ
საპროცენტო ხარჯი	19365
სულ	19365

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	შენიშნა- ნაგებობები 2130/2140	მანქანა- დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვილობა 2160	ავეჯი და სხვა ინვენტარი 2170/2199	სატრანსპორტო საშუალებები 2180	სულ აქტივები
ისტორიული ღირებულება		69 991	1 435	1 267	201 653	274 346
01.01.2017	-					-
შემოსვლა	-	60 283	5 288	2 699		68 270
გასვლა/ჩამოწერა		(24 915)			(121 530)	(146 445)
31.12.2017	-	105 359	6 723	3 966	80 123	196 171
შემოსვლა		4 670				4 670
გასვლა/ჩამოწერა	-	(68 640)	-	-	(80 123)	(148 762)
31.12.2018	-	41 389	6 723	3 966	-	52 078
შემოსვლა		-	177	-	-	177
გასვლა/ჩამოწერა		-	-	-	-	-
31.12.2019		41 389	6 900	3 966	-	52 255
დაგროვილი ცვეთა						-
01.01.2017	-	(20 584)	(370)	(381)	(46 295)	(67 630)
პერიოდის ცვეთა		(21 969)	(797)	(644)	(12 095)	(35 505)
გასვლა/ჩამოწერა		8818,67			25341,55	34 160
31.12.2017	-	(33 734)	(1 167)	(1 025)	(33 049)	(68 975)
პერიოდის ცვეთა		(24 122)	(988)	(496)	(5 081)	(30 687)
გასვლა/ჩამოწერა		27026,47			38129,72	65 156
31.12.2018	-	(30 830)	(2 155)	(1 521)	-	(34 505)
პერიოდის ცვეთა		(9 475)	(916)	(481)	-	(10 872)
გასვლა/ჩამოწერა		-	-	-	-	-
31.12.2019		(40 305)	(3 071)	(2 001)	-	(45 377)
საბალანსო ღირებულება						-
ბალანსი 01.01.2017	-	49 407	1 065	886	155 358	206 716
ბალანსი 31.12.2017	-	71 625	5 556	2 941	47 074	127 196
ბალანსი 31.12.2018	-	10 559	4 568	2 446	-	17 573
ბალანსი 31.12.2019		1 084	3 829	1 965	-	6 878

შენიშვნა 11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2019
ნედლეული და მასალები	46 621
დაუმთავრებელი მშენებლობა	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	-
სულ მარაგები	46 621

შენიშვნა 12. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	583 183
სულ სავაჭრო მოთხოვნები	583 183

შენიშვნა 13. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი

სულ

6 679

6 679

შენიშვნა 14 ფულადი სახსრები და ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში

67 479

სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები

67 479

შენიშვნა 15. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება

214873

სულ კაპიტალი

214873

შენიშვნა 16 . სავაჭრო ვალდებულებები

მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	275 114
კონტრაქტორები	48 588
სულ სავაჭრო ვალდებულებები	323 702

შენიშვნა 17. სხვა ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულება	1 333
სხვა ვალდებულებები	860
გადასახდელი ხელფასი	5 300
სულ სხვა ვალდებულებები	7 493

შენიშვნა 18. სესხები და პროცენტები

თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზი	15
სესხები ფიზიკური პირისაგან ლარში	141504
სესხის პროცენტი	23252,42
სულ სესხები:	164771,42

19. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

კომპანიას აქვს თი ბი სი ბანკში გახსნილი საკრედიტო ხაზი.

20. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

კომპანიას აქვს ტენდერის და შესრულების გარანტიები რომელთა საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხების გადახდა ხდება ერთჯერადად.

21. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება- გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება - გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის კომპანიას არ აქვს.

22. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების დარიცხვის აუცილებლობა კომპანიას არ წარმოშობია.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. 2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი.

საქართველოს მთავრობის ახალი რეგულაციებით პანდემიის პირობებში სამშენებლო სფერო აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებას. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ წარმოქმნილი მოვლენა არ მოახდენს ზეგავლენას კომპანიის ფუნქციონირებადობაზე, იქედან გამომდინარე რომ კომპანია აგრძელებს და ახორციელებს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს და მათ შეზღუდვები არ შეეხებათ.

24. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას ჰყავს დაკავშირებული მხარე/ კერძოდ ერთი და იგივე დამფუძნებელი/, რომელთანაც აქვს სხვადასხვა ოპერაციები. საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ჰქონდა ვალდებულება 3500 ლარი, პერიოდის განმავლობაში ბრუნვამ შეადგინა 7066 ლარი. პერიოდის ბოლოს აღნიშნული საწარმოსთან დებიტორულ/კრედიტორული ვალდებულება არ გააჩნია.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.